ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი №3

6.11.2017

ქ. რუსთავი

2017 წლის 6 ნოემბერს გაიმართა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს რიგით მესამე შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ საბჭოს წევრები სია თან ერთვის) და ექსპერტები.

შეხვედრას უძღვებოდა ფაილიტატორი პავლე თვალიაშვილი.

დღის წესრიგი:

1. რევაზ ბარბაქაძე - პრეზენტაცია;

2. დისკუსია პრეზენტაციის ფარგლებში, კითხვა-პასუხის რეჟიმი;

3. მსჯელობა ქალაქის მასშტაბით არსებულ პრობლემურ საკითხებზე, ინიციატივები და ანალიზი;

4. ექსპერტთა რეკომენდაციები.

საბჭოს სხდომა გახსნა ფასილიტაორმა პავლე თვალიაშვილმა. ბ-ნმა რევაზ ბარბაქაძემ წარმოადგინა პრეზენტაცია საზოგადოებრივი აზრის კვლევის შესახებ ქალაქის პრობლემებსა და პრიორიტეტებზე.

პრეზენტაციისას გამოიკვეთა თუ რომელი სფეროები იყო უფრო პრობლემური და პრიორიტეტული საზოგადოებისათვის. გამოკითხულთა უმრავლესობა მთავარ საკითხად დასაქმებას ასახელებდა. ასევე კვლევაში რამდენიმე ძირითად საკითხზე გამახვილდა ყურადღება:

1. ჯანდაცვა, რომელიც მოსახლეობამ პრიორიტეტულ და წარმატებული საქმიანობის სამეულში დაასახელა;

2. საყოფაცხოვრებო და საწარმოო ნარჩენების გატანა, ეფექტური გზების ძიება, რეგულირება და სისტემატიზირება;

3. გარემოს დაცვის საკითხში უპირატესობა მიენიჭა გამწვანებას, ბაღებისა თუ სკვერების კეთილმოწყობასა და დასუფთავებას;

4. მომსახურების ხარისხი და საზოგადოებრივი ტრანსპორტი;

5. ინფრასტრუქტურა და მასთან არსებული პრობლემური საკითხები: ხიდები, შუქნიშნები, ქვეითად მოსიარულეთა გადასასვლელები;

6. უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფა;

7. შშმ-პირთათვის ადაპტირებული გარემოს არ არსებობა და სხვ.

კვლევის მიხედვით, მოსახლეობის აზრით, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის პრიორიტეტული მიმართულებას უნდა წარმოადგენდეს:

ა) დასაქმება;

ბ) ეკონომიკური განვითარება;

გ) სოციალური საკითხები;

დ) ახალგაზრდობის ხელშეწყობა;

ე) ჯანდაცვის საკითხები;

ე) ინფრასტრუქტურის განვითარება;

ვ) ადამიანის უფლებების დაცვა.

პრეზენტაციის შეჯამებისას ნუკრი რამიშვილის კითხვა ბ.-ნ რევაზ ბარბაქაძეს: რა სახით ჩატარდა კვლევა და რამდენად აღქმადი და მარტივად გასაგები იყო საზოგადოებისათვის აღნიშნული ფორმატი? რის შემდეგადაც ბ.-ნმა რევაზმა განმარტა, რომ მოსახლეობის გამოკითხვა მოხდა პირისპირ ინტერვიუს, კითხვარის ფორმით და ცდომილება წარმოადგენს +- 2,51%-ს.

სხდომის მეორე ნაწილში მოეწყო ქალაქში არსებული პრობლემური საკითხების განხილვა და მსჯელობა იმაზე, თუ რა აწუხებს ყველაზე მეტად რუსთავის მოსახლეობას საბჭოს წევრების ინფორმაციითა და აზრით.

ესენია: სახურავების გადახურვა, სადარბაზოების კეთილმოწყობა, მაღალსართულიან კორპოსებში საყოფაცხოვრებო ნარჩენების ბუნკერების არსებობა და ანტისანიტარია, კომუნალური პრობლემები და კანალიზაცია, სურსათის უვნებლობა, , გარე ვაჭრობა, პარკირება, სკვერებისა და საბავშვო ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა, ამორტიზებული აივნები და კორპუსები.

აღნიშნული პრობლემების შესახებ რეკომენდაციები მისცეს დელეგატებს ექსპერტებმა და ურჩიეს, რა კუთხით შეიძლება მოხდეს მუშაობა პრობლემის გადაჭრის გზების საპოვნელად. საჭიროა აქტიური კონსულტაციები თვითმართველობის წარმომადგენლებთან, იდეის და რჩევის სწორი ფორმით ჩამოყალიბება და წარდგენა, რასაც თანმიმდევრული მუშაობა სჭირდება.

ასევე სხდომაზე გაჟღერდა დელეგატთა ინიციატივები:

- მალხაზ რაზმაძე - სტარტაპების პროგრამის დაფინანსება, წახალისება და ხელშეწყობა;

- მარიკა ტუქსიშვილი - საბავშვო-კულტურული ცენტრების შექმნა, თოჯინების თეატრი, მცირე დარბაზები საბავშვო სპექტაკლებისათვის;

- რეზო ბერაძე - ტრანსპორტის აუცილებელი საჭიროება საღამოს საათებში;

- გვანცა მასტრენკო - საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერების ადგილების უკეთ მოწყობა და მათი მოძრაობის განრიგისა და მარშრუტის საინფორმაციო დაფაზე განთავსება;

- ლიანა ჩარკვიანი - სამხატვრო გალერეის გახსნა;

- ნუკრი რამიშვილი - ლიტერატურული კაფის გახსნის ხელშეწყობა ლიტერატურითა და შემოქმედებით დაინტერესებული ახალგაზრდებისათვის.

ასევე გამოიკვეთა სხვა მიმართულებებიც: გადამზადების პროგრამები განათლების დონის ასამაღლებლად, ბათუმის ქუჩის რეკრეაციულ ზონად მოწყობა, ქუჩებზე და კორპუსებზე მისამართის აღმნიშვნელი ბანერების მოწყობა.

შეხვედრა შეაჯამა და რეკომენდაციები მისცა დელეგატებს პავლე თვალიაშვილმა.

სხდომის მდივანი

ნუკრი რამიშვილი

ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

სხდომა N3

6 ნოემბერი, 2017

ელგუჯა ღვინიაშვილი	
ლეილა ჩიქვილაძე	
მარინა კვიციანი	
ამირან მეგრელი	
ლელა კეთილაძე	
ნუკრი რამიშვილი	
თემურ შაფათავა	
გვანცა მასტრენკო	
გვარამაძე მარინა	
ტუქსიშვილი მარიკა	
ნინო ნადირაძე	
მალხაზ რაზმაძე	
ფიქრია ბირთველიშვილი	
გივი ჩხაიძე	
რეზო ბერაძე	
სოფო კენჭოშვილი	
ინგა ჯიჯლავა	
რამაზი შალიკაშვილი	
გურამი სხილაძე	
ლია კობახიძე	